I აგვისტო

წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი (მ);
წმ.სალომე ქართველი,
სპარსთაგან წამებული (XIIს.)

2009 შაბათი

ლევ. 25, 1.8-17; ფს. 66; მათ. 14, 1-12 I თ

მე ვარ უფალი, ღმერთი თქვენი.

(ლევ. 25, 17)

ჩვენი ღმერთი, ვინც ძველ აღთქმაში
დაიწყო თავის გამოვლენა და ვის ჩვენთვის
გაცნობას იესო განაგრძობს,
სიყვარულის, მამობის ნიშანს ატარებს.
ის თვითთოეული ადამიანისადმი მისი
„თანაგრძნობის“ გასაზიარებლად გვიხმობს.
ეს გაზიარება სიცოცხლის
სისრულით ვტკბობას გვანიჭებს.
გმადლობთ, მამაო, რომ გაცნობისას „უფრო
მშვენიერი“ ხარ, ვიდრე ოდესმე შემეძლო
წარმომედგინა!

2 აგვისტო

რიგითი ყამის XVIII კვირადღე

2009

კვირა

გამ. 16, 2-4.12-15; ფს. 77; ეფეს. 4, 17.20-24; იოან. 6, 24-35 II მ

მე ვარ პური სიცოცხლისა. (იოან. 6, 35)

საღოცავად მხოლოდ ერთი მოხუცი ქალი მოვიდა; ლოცვის დაწყებამდე მისთვის ძვირფასი ადამიანის გულცივი დამოკიდებულებით გამოწვეული თავისი წუხილი გაგვიზიარა.

სწორედ იმ დღეს საუბარი იყო ზაქესთან იესოს შეხვედრაზე: იმ ქალმა გულში იესოს სიყვარული და მშვიდობა იგრძნო და სახლში გამხნევებული და კმაყოფილი დაბრუნდა.

იესო, შენ ჭეშმარიტი პური ხარ ჩვენთვის!

3 აგვისტო

2009 ორშაბათი

რიცხ. II, 4-15; ფს. 80; მათ. 14, 13-21 II მ

ყველამ ჭამა და გაძღა. (მათ. 14, 20)

დღეს ყოველივეს იესოს ხელთ მივანდობთ:
თუნდაც ჩვენთვის ეს უმნიშვნელო იყოს,
იესოს მივუძღვნათ ჩვენი შრომა,
სუნთქვა, ჩვენი ნაბიჯები, ჩვენი სიხარული...
საღამოს სიხარული დაგვეუფლება:
ეს იგივე მამა ღმერთის სიხარული იქნება,
ვინც, აგრეთვე ჩვენი უმნიშვნელო
ძღვენის მეშვეობით,
თავისი ღმრთაებრივი ნიჭით
სამყაროს წყურვილის დაოკება შეძლო.

4 აგვისტო

წმ. იოანე მარია ვიანეი (მ)

2009 საკმაბათი

რიცხ. 12, 1-13; ფს. 50; მათ. 14, 22-36 II ო

უფალო, მიხსენი მე! (მათ. 14, 30)

ზღვით იესოსკენ მიმავალმა პეტრემ
ჩაძირვა დაიწყო...
აი, ეს ეპიზოდი რაზე მაფიქრებს:
როცა ისეთი ნაბიჯის გადადგმას
გადავწყვეტთ, რომელიც, რაღაც
მსხვერპლის ფასად, იესოს გულთან
ჩვენს მიყვანას შეძლებს, სიცოცხლის
დაკარგვის შიში გვიპყრობს
და გვაფერხებს.
„უფალო, გვიხსენი!“:
იესო შეძლებს ჩვენთვის რწმენის,
ძალისა და მშვიდობის ბოძებას.

5 აგვისტო

წმ.მარიამის მთავარი ბაზილიკის
კურთხევა (ნ.მ)

2009 **ოთხშაბათი**

რიცხ. 13, 1-3.25-14,1.26-30.34-35; ფს. 105;
მათ. 15, 21-28 II მ

უდეს საკრებულოს დღესასწაული მთაში.

მე, უფალი, ვამბობ. რიცხ.14,35

უდაბნოში ხალხი ღვთის წინააღმდეგ
ალაპარაკდა: მისდამი ნდობა, მისი
სიყვარულის, ძალის რწმენა არ ჰქონდა.
ამ უნდობლობამ სხვა ყველა ცოდვაზე მეტად
დაამწუხრა მამა ღმერთის გული;
ის ჩვეული სიცხადითა
და ძლევამოსილებით ჩაერია ვითარებაში.
მოგვეც, სულო წმიდავ, გული ძისა,
რომლსაც მუდამ ძალუძს მამა ღმერთის
სიკეთისა და სიბრძნის რწმენა!

6 აგვისტო

უფლის ფერისცვალება (დ)

2009 კუთშაბათი

დან. 7, 9-10.13-14; ფს. 96; 2 პეტრ. 1, 16-19; მარკ. 9, 2-10 ს თ

რაბი, კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა.

(მარკ. 9, 5)

ყოველწლიურად სიხარულით აღვნიშნავთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ამ შშვენიერ დღესასწაულს. მამა ღმერთის ნებით იესო მთაზე ფერს იცვლის და სამი მოწაფე ღვთაებრივ ბრწყინვალებაში იხილავს მას: კარგია ჩვენთვის აქ ყოფნა! გმადლობთ, მამაო, რომ დროდადრო ჩვენც გვიმჟღავნებ შენი საყვარელი ძის გასაოცარი იერის რომელიმე ნაწილს: ეს პატარა დიდი სხივები გვეხმარება, გამოცდის ჟამსაც კი არ დავშორდეთ მას.

7 აგვისტო

2009 პარასკევი

რჯლ. 4, 32-40; ფს. 76; მათ. 16, 24-28 II მ

მიუზღავს თითოეულ კაცს მისი ნამოქმედარის მიხედვით. (მათ. 16, 27)

ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება,
ვიწამეთ თუ არა, მადლიერებით მივიღეთ
და ვუპასუხეთ თუ არა იესოს მიერ
ჯვარზე საკუთარი სიცოცხლის შეწირვას.
მივცემ იესოს შესაძლებლობას,
რომ მიხსნას?

შემდეგ ამ სიხარულით ვიცხოვრებ,
გავყვები მას და ჩემს სიცოცხლეს მივუძღვნი?

8 აგვისტო

წმ. დომენიკე (მ)

2009 შაბათი

რჯლ. 6, 4-13; ფს. 17; მათ. 17, 14-19 II თ

ჰოი, ურწმუნო და უკუღმართო მოდგმავ! (მათ. 17, 17)

ზოგჯერ რომელიმე ჩვენი ძმის ნათქვამის ან
რაიმე მოვლენის მეშვეობით უფლის მოხმობას
ვიგებთ. ასეთი განცდა მრავალჯერ გამჩენია.
თავიდან ტანჯვის გრძნობა და გულგატეხი-
ლობის ცდუნება მეუფლებოდა, მაგრამ მალე
ჩემს გულში შუქმა დაისადგურა:
ვიხილე ძლიერი და ერთგული სიყვარული
მამა ღმერთისა, ვინც უშუალოდ, სიწმიდითა
და სიბრძნით მიმიძღოდა თავის გზაზე.
მას თვინიერად ვუთხარი მადლობა.

9 აგვისტო

რიგითი ყამის XIX კვირადღე

2009

კვირა

3 მეფ. 19, 4-8; ფს. 33; ეფეს. 4, 30–5, 2; იოან. 6, 41-51 III მ

ვინც ღვთისგანაა, მხოლოდ მან იხილა მამა. (იოან. 6, 46)

ყველა წინასწარმეტყველი ღმერთმა წარგზავნა, მაგრამ ისინი ამ სამყაროს ადამიანთა შორის იყვნენ არჩეულნი. მხოლოდ იესო მოვიდა მამა ღმერთისგან, იმ დიდებიდან, რომელშიც მამასთან ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე იყო. მხოლოდ იესო იცნობს სრულად მამას და შეუძლია მისი გამოცხადება. მხოლოდ მას შეუძლია საკუთარი თავის შეწირვით იმ ღმრთაებრივი სიცოცხლის გადმოცემა, რომლის მიცემაც სურს მამა ღმერთს სიკვდილის ხელთ მყოფი კაცობრიობისთვის.

10 აგვისტო

წმ. ლავრენტი (დ)

2009 ორშაბათი

2 კორ. 9, 6-10; ფს. 111; იოან. 12, 24-26 ს მ

მისი სიმართლე რჩება საუკუნოდ.

(2 კორ. 9, 9)

ეკლესია წმიდა ლავრენტის განსაკუთრებულ პატივს მიაგებს. ის რომის ეკლესიის დიაკვანი იყო; ღატაკთა მსახურებას ახმარდა უფლის მიერ მისთვის მიმადლებულ მთელ ცოდნასა და სიყვა-რულს, ბოლოს კი მოწამებრივად აღესრულა. ძვირფასო ძმაო, პატივს მივაგებთ „შენს სი-მართლეს“, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ მის მიბაძვას შევეცდებით და სულიწმიდის — იესოს ყველა წმიდანის „არქიტექტორის“ — ქროლვას მივენდობით.

II აგვისტო

წმ. კლარა ასიზელი (მ); წმ. ევსტათი
მცხეთელი, წამებული († 589) (ნ.მ)

2009 **სამშაბათი**

რვლ. 31, 1-8; საგ. რვლ. 32, 3-4.7-9.12;
მათ. 18, 1.5.10.12-14 III თ

იესომ დაუძახა ბავშვს. (მათ. 18, 2)

მოწაფეთა შეკითხვაზე:
,,ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?''
იესომ ამ მშვენიერი ყესტით უპასუხა.
როდესაც ცათა სასუფეველში რაიმე ,,დიდის''
გაკეთება არ ძალგვიძს ან არ გვსურს,
როდესაც ,,პატარანი'' ვხდებით
და მის თანსწრებას, მის ჩანაფიქრს,
მის ქმედებას ვუთმობთ ადგილს,
მაშინ ძვირფასნი ვართ უფლის თვალში.

12 აგვისტო

2009 ოთხშაბათი

რჯლ. 34, 1-12; ფს. 65; მათ. 18, 15-20 III მ

თუ გაგიგონებს, შეგიძენია შენი ძმა. (მათ. 18, 15)

ვინმეს გამოსწორებაში დასახმარებლად
სიმამაცე და თვინიერებაა საჭირო:
სიმამაცე სხვა ადამიანისთვის სიკეთის სურვი-
ლიდან მომდინარეობს, თვინიერებას კი ძალუძს,
არ დაგმოს, და, საჭიროების შემთხვევაში,
მოითმინოს... ხოლო როცა ვინმეს ვგმობ ჩემ-
თვის, ან, კიდევ უარესი — საჯაროდ, მხოლოდ
მხდალი და ქედმაღალი ვარ და მეტი არაფერი.
მადლობას ვუხდი იმ ძმებს, ვინც ჩემი სიამაყის
მოსათვინიერებლად სიმამაცე მოიკრიბა
და გამოსწორებაში დამეხმარა.

13 აგვისტო

2009 ხუთშაბათი

იესო. 3, 7-10.11.13-17; ფს. 113A; მათ. 18, 21-19, 1 III მ

უფალო, სულგრძელი იყავ ჩემს მიმართ. (მათ. 18, 26)

გმადლობ, მამაო,
რომ მოთმინებით მეპყრობი.
მე კი სხვათა მიმართ
მოთმინება არ მყოფნის.
შენი სიკეთის მაგალითით,
შევეცდები, მეც ვაპატიო
იმ ჩემს მეგობარს...,
იმ მეზობელს, ნათესავს...

14 აგვისტო

წმ. მაქსიმილიანე მარია კოლბე (მ)

2009 პარასკევი

იესო. 24, 1-13; ფს. 135; მათ. 19, 3-12 III წ

კათოლიკე ახალგაზრდების საერთაშორისო დღე

ვინც ღმერთმა შეაუღლა, კაცი ნუ დააშორებს მათ. (მათ. 19, 6)

ამ სიტყვებში მოცემულია სიბრძნე, რომელიც მეექვსე და მეცხრე მცნებებს განამტკიცებს! აღმა-ფრთოვანებენ მეუღლეები, რომლთაც აზრადაც არ მოსდით დაცილება, მაშინაც, როცა ერთმანეთს ვერ უგებენ ან ერთმანეთზე ნაწყენნი არიან. მათ იციან, რომ მათი კავშირი ღმერთის მიერ არის ნაკურთხი და რომ ღვთის გარეშე კურთხევა არ არსებობს. ეს სიტყვები ახალგაზრდებს აღუძრავს სურვილს, გადალახონ დაბრკოლებები სიყვარულისთვის მოსამზადებლად და დაბრკოლებებით გამოსცადონ საკუთარი ერთგულება.

15 აგვისტო

უწმიდეს მარიამ ღვთისმშობლის ზეცად აღყვანება (დდ)

2009 შაბათი

გამოც. 11, 19; 12, 1-6.10; ფს. 44; 1 კორ. 15, 20-27; ლუკ. 1, 39-56 ს თ

თბილისის ღვთისმშობლის მიძინების სამეუფო ტაძრის დღესასწული.

ვინაიდან მოხედა თავისი მხევლის სიმდაბლეს. (ლუკ. 1, 48)

ასეც შეგვიძლია ვთქვათ: თავისი მხევლის სიმ-ცირეს მოხედა. უწმიდესო მარიამ, უფლის უმ-შვენიერესო ქმნილებავ, გვასწავლე ჩვენ, შენს საყვარელ შვილებს, რომ მამა ღმერთს ყველაზე მეტად თავის ქმნილებათა თვინიერება ახარებს: როცა ისინი მის წინაშე თავის სიმცირეს აღია-რებენ და მას მიენდობიან, მათში მამა ღმერთის სიყვარულის მშვენიერება გაბრწყინდება. ცად აღმაღლებულო მარიამ, იგალობე ალელუია!

16 აგვისტო

რიგითი ყამის XX კვირადღე

2009

კვირა

იგავ. 9, 1-6; ფს. 33; ეფეს. 5, 15-20; იოან. 6, 51-58 IV მ

ჩემი მჭამელი იცოცხლებს ჩემში.

(იოან. 6, 57)

როცა, დილით გაღვიძებული, გულს იესოს,
მის სიყვარულს, მის თანსწრებას
მივაპყრობ, შემდეგ კი დღის განმავლობაში
მისით „ვსაზრდოობ“, გულით ვატარებ მის
სიტყვას, მისი „სტილის“ თანახმად ვცდილობ
მოქცევას, ჩემი სულიერ იცხოვრების „ნერგი“
კარგადაა მოვლილი, მყარად დგას და მთელ
ჩემს არსებობას აძლევს ნათელსა და ძალას.
იესო, ჩვენი სიცოცხლის ნამდვილი პური ხარ!

17 აგვისტო

2009 ორშაბათი

მსჯ. 2, 11-19; ფს. 105; მათ. 19,16-22 IV მ

მოდი და გამომყევი. (მათ. 19, 21)

უფალო იესო, როცა ერთ-ერთ შენს შვილს
მოწონების მზერას მიაპყრობ, მას ყოველივეს
მიტოვებისა და მხოლოდ შენ გზაზე სვლისკენ
მოუხმობ. მოკძალებულად შემიძლია აღვნიშნო,
რომ მათთვის, ვინც ცდილობს, შენ გამოგყვეს,
შენ საქმროსა თუ საცოლეზე მეტი ხარ;
მათ უფრო მეტ სიხარულს ანიჭებ, ვიდრე ლა-
მაზი სახლი, მეგობრები ან დღესასწაულები;
მამის მკლავებზე მეტ სიტკიცეს აგძნობინებ,
დედის კოცნაზე მეტ სინაზეს უბოძებ...
გმადლობ, იესო! არავინ ვიყავი და არაფერი
ვარ, მაგრამ შენ მე შენთვის ამირჩიე!

18 აგვისტო

2009 საშაბათი

მსჯ. 6, 11-24; ფს. 84; მათ. 19, 23-30 IV მ

ღვთისათვის კი ყოველივე შესაძლებელია. (მათ. 19, 26)

კიდევ კარგი... თორემ, ვაი მე, საცოდავს!
როგორ შევძლებდი იესოს გაყოლას,
როცა გართობის, ფულის, წარმატების,
მოდის ცდუნება მაგნიტივით მიზიდავს?
ერთგულებას როგორ შევინარჩუნებდი, თუკი ჩემი
გრძნობები მცდარი მიმართულებით მიბიძგებს?
როგორ შევძლებდი წყენის დავიწყებას და
მათ პატიებას, ვინც დიდი საზრუნავი გამიჩინა?
„ღვთისათვის ყოველივე შესაძლებელია“.
კიდევ კარგი, რომ შენ აქ ხარ, უფალო, ჩემს დასა-
ხმარებლად მზადმყოფი!

19 აგვისტო

2009 ოთხშაბათი

მსჯ. 9, 6-15; ფს. 20; მათ. 20, 1-16 IV მ

ისმინეთ ჩემი, რათა ღმერთმა გისმინოთ! (მსჯ. 9, 7)

ამ სიტყვების წარმომთქმელი ღმერთის
სახელით ელაპარაკება ისრაელ ხალხს.
ის სიმართლეს აცხადებს,
ჩვენც გამოგვიცდია ასეთი რამ:
როცა იესოს მიერ მოვლენილ ადამიანებს
ვუსმენთ, ჩვენს გულში სიმშვიდე
ისადგურებს, მათ მსგავსად,
ვინც მამათაგან საუკეთესოს,
მეფეთაგან უდიდესის მეგობრობითა
და მფარველობით ტკბება.

20 აგვისტო

წმ. ბერნარ კლერვოელი (მ)

2009 ხუთშაბათი

მსჯ. II, 29-39; ფს. 39; მათ. 22, 1-14 IV თ

ქორწილი მზად არის. (მათ. 22, 8)

თითქოს გვესმის მამა ღმერთის
სიხარულით აღსავსე ხმა,
თითოეულ ჩვენგანს რომ მიმართავს:
,,აი, მზად არის შენთვის მარადიული
დღესასწაული, ჩემთან და ჩემს ძესთან
თანაზიარებით აღსავსე ცხოვრება:
ეს ნიჭი შენთვის სწორედ მან მოიპოვა,
როცა შენი სიყვარულით
ჯვარზე სიკვდილი მიიღო.
უშიშრად და დიდი სიყვარულით
მიიღე იგი''!

21 აგვისტო

წმ. პიუს X (მ)

2009 პარასკევი

რუთ. I, I.3-8.14-16.22; ფს. 145; მათ. 22, 34-40 IV თ

შენი ღმერთი, ჩემი ღმერთია. (რუთ. I, 16)

სხვა ადამიანის ჩვევების, იდეების, გეგმების მიღება ნდობისა და სიყვარულის ნიშანია. სწორედ ასე იქცევიან მეუღლეები, ერთად რომ იცხოვრონ. სხვა ადამიანის რწმენის მიღება და მასთან მისადაგება კი... გაცილებით უფრო სერიოზული და სათუთი რამ არის. რუთმა ეს გააკეთა, სწორი მიმართულებით გადადგა ნაბიჯი! მან მიატოვა მოაბი ხალხის კერპები, რათა ნაყომის ღმერთი აერჩია – ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც სწამდა ისრაელის ხალხს და რომელიც მხსნელად მოავლენდა იესოს. იესოს ძვირფასი სისხლის წყალობით, არავინ განვლოს ეს გზა პირიქით!

22 აგვისტო

ნეტარი ქალწული მარიამი
დედუფალი (მ)

2009 შაბათი

რუთ. 2, 1-3.8-11;4, 13-17; ფს. 127; მათ. 23, 1-12 IV თ

მათ საქმეებს ნუ მიბაძავთ. (მათ. 23, 3)

მაშასადამე, არ შემიძლია მოვიშველიო
საკუთარი თავის გასამართლებლად „ყველა ასე
აკეთებს“ ან „მღვდლებიც კი...“.
მართალია, მაგალითი სიტყვებზე მეტად
არწმუნებს ადამიანს, მაგრამ როდესაც
მაგალითი ღვთის სიტყვას არ შეესაბამება,
სწორედ ღვთის სიტყვა უნდა დარჩეს
ჩემთვის ნიმუშად, შუქურად,
განსაკუთრებით – ამქვეყნიურ ბნელში.

23 აგვისტო

რიგითი ყამის XXI კვირადღე

2009

კვირა

იესო. 24, 1-2.15-17.18; ფს. 33; ეფეს. 5, 21-32;
იოან. 6, 60-69 I მ

იესომ თავიდანვე იცოდა, ვინ არის მისი გამცემი. (იოან. 6, 64)

ზოგჯერ ვგრძნობ, რომ მომავალი შეხვედრა
ან საქმე განსაკუთრებულად რთული იქნება.
ჩემთვის ეს შუქი, უფლის ნიჭია:
უმალ მის ხელთ მივანდობ თავს,
მდაბლად მის დახმარებას ვითხოვ.
მართლაც მქონდა შესაძლებლობა,
განსაცდელის ყამს საკუთარი სისუსტე
განმეცადა: დავინახე, რომ მხოლოდ
უფალია ჩემი ერთგულების ძალა.

24 აგვისტო

წმ. ბართოლომე, მოციქული (დ)

2009 ორშაბათი

გამოცხ. 21, 9-14; ფს. 144; იოან. 1, 45-51 სწ

ამაზე მეტსაც იხილავ. (იოან. 1, 50)

პირველი შეხვედრისას მისდამი მიმართული
იესოს მარტივი სიტყვების გაგონებაზე
ბართოლომეს საოცარი გრძნობა ეუფლება:
გრძნობს, რომ ის უყვართ და მას იცნობენ.
იესო მას „ამაზე მეტსაც“ ჰპირდება:
იესოს თუ გაჰყვება, ბართოლომე გაიცნობს მას,
ვიზეც „ადიან და ჩამოდიან ანგელოზები“,
ვისაც მამა ღმერთის სიტყვა მოაქვს ჩვენთან
და მასთან ჩვენს ადამიანურობას აახლოვებს.

25 აგვისტო

2009 საშაბათი

I თეს. 2, I-8; ფს. I38; მათ. 23, 23-26 I ᲛᲔ

...ვაამებთ არა ადამიანებს, არამედ ღმერთს. (I თეს. 2, 4)

ზოგჯერ, ადამიანებს გული
რომ არ დავწყვიტოთ,
იესოს მართებულად არ ვამოწმებთ:
მის ცოდნას, მის შუქს დაფარულად ვინახავთ.
როცა ასე ვიქცევით, ჩვენი მოყვასი
ჭეშმარიტი სიყვარულით არ გვიყვარს.
დაივანე, სულიწმიდავ, ჩვენს გულში!
მოგვეც უნარი, მხოლოდ მამა ღმერთის
მოწონება ვეძიოთ, და მაშინ ჩვენი
ძმებისთვისაც ჭეშმარიტ ნიჭად ვიქცევით!

26 აგვისტო

2009 ოთხშაბათი

I თეს. 2, 9-13; ფს. 138; მათ. 23, 27-32 I მ

თქვენ მოწმენი ხართ. (I თეს. 2, 10)

თესალონიკის ქრისტიანები,
რომელთა შორისაც აღასრულებდა თავის
მსახურებას წმიდა პავლე, მოციქულის
ერთგულების, იმედის, დაუღალავი,
სერიოზული შრომის მოწმენი იყვნენ.
მადლობას გიხდი, უფალო იესო,
რადგანაც მეც მრავალი ძმისა
და დის საღმრთო მსახურების მოწმე ვარ.
დაე, ამ მსახურების მხოლოდ
აღტაცებით მზერა კი არ შემეძლოს,
არამედ სიხარულით მიბაძვაც!

27 აგვისტო

წმ. მონიკა (მ)

2009 ხუთშაბათი

I თეს. 3, 7-13; ფს. 89; მათ. 24, 42-51 I თ

მოვა თქვენი უფალი. (მათ. 24, 42)

უეჭველია, ერთ დღესაც შევხვდებით იესოს, იმგვარად... რომ ყოველგვარ ჩვენს მოლოდინს გადააჭარბებს. ოღონდ, არაფრის შიში არ უნდა გვქონდეს, ვინაიდან იგია ძე ღმრთისა, რომელიც ჩვენი სიყვარულისათვის განკაცდა. სწორედ ამიტომ გვსურს მივიღოთ იგი ღირსეულად, რისთვისაც შევთხოვთ მამაზეციერს რათა „აქციოს ჩვენი გულები მტკიცე და უნაკლო სიწმიდეში“.

28 აგვისტო

წმ. ავგუსტინე (მ)

2009 პარასკევი

I თეს. 4, I-8; ფს .96; მათ. 25, I-I3 I თ

მარიამობა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში.

ყოველმა თქვენგანმა იცოდეს თავისი ჭურჭლის შენახვა სიწმიდით და პატივით. (I თეს. 4, 4)

მადლობას ვუძღვნით უფალს, ვისაც მის შვილთა მიერ საკუთარი სხეულის პატივისცემა ახარებს: მასში ის თავის სულიწმიდას ასახლებს. გმადლობ, კეთილო მამაო, ჩემი ხელების, თვალების, ბაგეების, ფეხებისთვის: მათი მეშვეობით შენდამი სიყვარულის გამოსახატავად საქმიანობა შემიძლია, ამ საქმიანობის წყალობით მარად შენთან ერთად ვიქნები ზეცაში!

29 აგვისტო

იოანე ნათლისმცემლის
თავისკვეთა (მ)

2009 შაბათი

იერემ. I, 17-19; ფს. 70; მარკ. 6, 17-29 ს წ

მე შენთანა ვარ შენს გადასარჩენად.

(იერემ. I, 19)

იერემიასადმი მიმართული უფლის
ეს სიტყვები სახარებისეულს ჰგავს:
მართლაც იესომ გვითხრა და გვიჩვენა,
და ყოველდღიურად გვაგრძნობინებს
გულის სიღრმეში, რომ ღმერთი მამაა,
რომელსაც მარად და მხოლოდ ვუყვარვართ.
ცოდვასაც არ ძალუძს ღვთისგან ჩვენი
დაშორება, თუ ვისურვებთ იესოს — მის მიერ
ბოძებული მაცხოვრის — მიღებას.

30 აგვისტო

რიგითი ყამის XXII კვირადღე

2009

კვირა

რჯლ. 4, 1-2.6-8; ფს. 14; იაკ. 1, 17-18.21-22.27; მარკ. 7, 1-8.14-15.21-23 II მ

მამა ანდრია გოგოლაშვილის მოხსენიება (†1937წ)

მომისმინეთ ყველამ და შეიგნეთ.

(მარკ. 7, 14)

,,ისმინე, ისრაელ'' — ეს უფალი მიმართავს თავის ხალხს. ,,მისმინეთ ყველამ'' — იესო, ეს შენ მი-მართავ ყველას, შენ ლაპარაკობ, როგორც ღმერთი, შენ ხარ ღმერთი! შენი ძალაუფლება, სიყვარული, შენს მიერ აღსრულებული ღმრთაებრივი ნიშნები, მამის მიერ შენი დამოწმება ამის დასტურია. მეც სრულად შემიძლია ვენდო შენს სიტყვას, სიტყვას, რომელიც მანიჭებს ახალ თავისუფლე-ბას, სიყვარულის ჭეშმარიტ და სასიხარულო სიწმიდეს.

31 აგვისტო

2009 ორშაბათი

I თეს. 4, 13-18; ფს. 95; ლუკ. 4, 16-30 II მ

ყველანი მძვინვარებით აღივსნენ.

(ლუკ. 4, 28)

ღმერთის სიტყვამ ეს-ესაა ნაზარეთში იესო
წარადგინა: მასზეა ღვთის ნიშანი — სულიწმიდა.
ეს მისი ქალაქის სინაგოგაში ხდება;
მისი თანამემამულეთა თავდაპირველ
სიხარულს მძვინვარება ცვლის:
იესომ ვერ შეაქო ისინი,
რადგანაც მათში რწმენის თავმდაბლობა
ვერ დაინახა.
იესო, მოგვეც უნარი,
მუდამ შენთან ვიყოთ, თავმდაბლობით!